სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

30/10/2024

MES 5 24 0001395132

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ ადგილზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის,„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად და ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი „ტალღას" დირექტორის, მედეა ბურჯანაძის 2024 წლის 28 ოქტომბრის MES 6 24 0001381138 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის 20 ნოემბერს დაინიშნოს არჩევნები წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის 1 ვაკანტურ ადგილზე ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ინსტიტუტ „ტალღას" წარმომადგენლის ასარჩევად.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან აირჩევა ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წევრი.
3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.
6. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 06 ნოემბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით.
7. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ინსტიტუტ „ტალღას“ საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
ბ) ცნობა ინსტიტუტ „ტალღაში“ დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.
8. ინსტიტუტ „ტალღას“ სამეცნიერო საბჭომ 2024 წლის 06 ნოემბრამდე უზრუნველყოს საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
9. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საარჩევნო სიის წარდგენა ინსტიტუტ „ტალღას“ საარჩევნო კომისიისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
10. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
11. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
12. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ასევე განთავსდეს ინსტიტუტ „ტალღას“ შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.
13. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით